ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 397

« 10 » ოქტომბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.031.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ნაციონალური სამოსის სახლისთვის" (ს/ნ: 406202425) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.031.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ნაციონალური სამოსის სახლისთვის" (ს/კ 406202425) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის №36.26.703 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.031.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნაციონალური სამოსის სახლისთვის" (ს/ნ: 406202425) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი